

გ ა და წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მომჩივანი: შპს „ბ...ო“ (ს/ნ ...)

შემმოწმებელი: აუდიტის დეპარტამენტი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებულმა დაგების განხილვის საბჭომ, დ. გაბლიშვილის (სხდომის თავმჯდომარე), მ. ადგიშვილის, მ. ბარათაშვილის, მ. ბოლოთაშვილის, დ. გახარას, შ. გვენეტაძის, გ. თინიკაშვილის, შ. კომლადის, დ. რუხაძის, გ. ფერაძის შემადგენლობით, 6.11.2019 წელს განიხილა და მიიღო გადაწყვეტილება შპს „ბ...ს“ 5.09.2019 წელს რეგისტრირებულ საჩივარზე.

დავის საგანი:

უკუდაბეგვრაზე ჩათვლილი დღგ-ის თანხის შემცირება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება:

1. აუდიტის დეპარტამენტის 8.04.2019 წლის №063-6 საგადასახადო მოთხოვნა;
2. შემოსავლების სამსახურის 17.07.2019 წლის №24026 ბრძანება.

დარიცხული თანხა: 159308 ლარი;

დღგ - 105000 ლარი;

ჯარიმა - 52500 ლარი;

საურავი - 1808 ლარი.

ფაქტების აღწერა

გადამხდელი ახორციელებს სატვირთო საგზაო ტრანსპორტით მომსახურებას.

აუდიტის დეპარტამენტის მიერ დღგ-ის ნაწილში ჩატარდა გადამხდელის საქმიანობის 1.01.2019 წლიდან 28.02.2019 წლამდე პერიოდის კამერალური თემატური საგადასახადო შემოწმება. შემოწმების შედეგები აისახა 8.04.2019 საგადასახადო შემოწმების აქტში, რომლის თანახმად, საწარმოს დღგ-ს დეკლარაციაში მიღებული აქვს უკუდაბეგვრაზე გადახდილი დღგ-ს ჩათვლა. შემოსავლების სამსახურის ერთიან ელექტრონულ საინფორმაციო ბაზაში გადამხდელს უკუდაბეგვრის წესით დარიცხული და გადახდილი დღგ-ს თანხები არ

უფიქსირდება. შემოწმების მიერ, სსკ-ის 173-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილზე, სსკ-ის 174-ე მუხლის პირველი ნაწილზე დაყრდნობით, უკუდაბეგვრაზე ჩათვლილი დღგ-ის თანხა შემცირდა 105000 ლარით. შედეგად საწარმოს დაერიცხა დღგ 105000 ლარი და ჯარიმა სსკ-ის 275-ე მუხლის მიხედვით 52500 ლარი.

აქტის საფუძველზე გამოიცა აუდიტის დეპარტამენტის 8.04.2019 წლის №10236 ბრძანება და 8.04.2019 წლის №063-6 საგადასახადო მოთხოვნა, რომელიც 5.05.2019 წელს გასაჩივრდა შემოსავლების სამსახურში და 17.07.2019 წლის №24026 ბრძანებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

დავების განხილვის საბჭო

საბჭომ მიიჩნია, რომ საჩივარი უნდა დარჩეს განუხილველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საგადასახადო კოდექსის 301-ე მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, დავის განმხილველი ორგანო საჩივარს არ განიხილავს, თუ

ე) გასულია საჩივრის წარდგენის ვადა;

ვ) საჩივარი არ აკმაყოფილებს პროცედურულ მოთხოვნებს და მომჩივანმა ხარვეზი არ გამოასწორა დავის განმხილველი ორგანოს მიერ დადგენილ ვადაში.

ამავე კოდექსის 305-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, შემოსავლების სამსახურის მიერ მომჩივნისთვის არასასურველი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამ მომჩივანს უფლება აქვს, გადაწყვეტილება მისი ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში გაასაჩივროს დავების განხილვის საბჭოში ან სასამართლოში.

საგადასახადო კოდექსის 44-ე მუხლის პირველი, მე-3 და მე-9 ნაწილების თანახმად,

1. საგადასახადო ორგანო დოკუმენტს პირს უგზავნის ან/და წარუდგენს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

3. დოკუმენტის გაგზავნის ან/და წარდგენის ფორმას ირჩევს საგადასახადო ორგანო.

9. საგადასახადო ორგანოს მიერ პირისათვის ელექტრონული ფორმით გაგზავნილი დოკუმენტი ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი გაცნობისთანავე, ხოლო ამ კოდექსის 264-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში – გაცნობისთანავე ან საგადასახადოს გადამხდელის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდზე განთავსებიდან 30-ე დღეს, თუ ამ ვადაში ადრესატი შეტყობინებას არ გასცნობია.

წარმოდგენილ საჩივარში გადამხდელის მიერ გასაჩივრებულ დოკუმენტებში მითითებულია 8.04.2019 წლის №063-6 საგადასახადო მოთხოვნა, გადამხდელის მიერ არ არის შევსებული ფაქტების, არგუმენტების და მოთხოვნის გრაფები, ასევე საჩივარს არ ახლავს გასაჩივრებული დოკუმენტები, რის გამოც დავების განხილვის სამსახურის მიერ გაიგზავნა 5.09.2019 წლის №03/96145 წერილი, რომელიც 9.09.2019 წელს ჩაბარდა დირექტორის მეუღლეს. გადამხდელის მიერ ხარვეზი დღემდე არ გამოსწორებულა.

ამდენად, მომჩივანი არ ეთანხმება აუდიტის დეპარტამენტის 8.04.2019 წლის №063-6 საგადასახადო მოთხოვნას და შესაბამისად, მასზე შემოსავლების სამსახურში წარდგენილ საჩივარზე მიღებულ შემოსავლების სამსახურის 17.07.2019 წლის №24026 ბრძანებას.

შემოსავლების სამსახურის 9.09.2019 წლის №109610-21-04 წერილის თანახმად, შემოსავლების სამსახურის 17.07.2019 წლის №24026 ბრძანება გადამხდელს გაეგზავნა ელექტრონულ პორტალზე 17.07.2019 წელს და გადამხდელი გაეცნო 17.07.2019 წელს.

ამდენად, დგინდება, რომ შემოსავლების სამსახურის სადავო ბრძანება გადამხდელს ჩაბარდა 17.07.2019 წელს, მისი გასაჩივრების 20 დღიანი ვადა ამოიწურა 6.08.2019 წელს და

საჩივარი დავების განხილვის საბჭოში წარმოდგენილია 5.09.2019 წელს (შემოსავლების სამსახურში ელექტრონული ფორმით წარდგენილია 27.08.2019 წელს).

ვინაიდან, დარღვეულია შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილების გასაჩივრების 20 დღიანი ვადა, ასევე მომჩივანმა არ გამოასწორა დადგენილი ხარვეზი, საჩივარი, სსკ-ის 301-ე მუხლის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტების საფუძველით უნდა დარჩეს განუხილველი.

საბჭომ იხელმძღვანელა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 304-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 305-ე მუხლის მე-2 ნაწილით და გადაწყვიტა:

1. საჩივარი დარჩეს განუხილველი;
2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) ამ გადაწყვეტილების მომჩივნისთვის ჩაბარებიდან 20 კალენდარული დღის ვადაში.

დათო გაბლიშვილი
სხდომის თავმჯდომარე